**ხელშეკრულება N 2**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. თბილისი** 12 იანარი 2021 წელი

ერთის მხრივ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის ვალერიანე ფოცხვერიას სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა“ (ს/კ 203836233) წარმოდგენილი მისი კომერციული დეპარტამენტის უფროსის მერი ბასილაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მეორე მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. შემსრულებელი, დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ, დამკვეთს უწევს საფოსტო-საკურიერო მომსახურებას „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ და „ადგილობრივი ამანათის პირობებით“ გათვალისწინებული წესით.
1.2. „მომხმარებლის სახელმძღვანელო“ და „ადგილობრივი ამანათის პირობები“ განთავსებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე http://www.gpost.ge და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (CPV64100000).

**მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი**

2.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით;
2.2. საფოსტო-საკურიერო მომსახურების ღირებულება, მომსახურების თითოეული სახეობის მიხედვით, განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით, რომლებიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ
2.3. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მიერ ანგარიშფაქტურის დამკვეთისთვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2.4. ხელშეკრულების სავარაუდო საერთო ღირებულება შეადგენს 4900 (ოთხიათასცხრაასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია 4000 ლარი, საკრებულო 100 ლარი და სამხედრო აღრიცხვის სამსახური - 800 ლარი).

**მუხლი 3. შემსრულებლის უფლებები და ვალდებულებები**

**3.1. შემსრულებელი ვალდებულია:**
3.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;
3.1.2. მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ გაუწიოს დამკვეთს დამატებითი მომსახურება.
3.1.3. აუნაზღაუროს დამკვეთს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;
3.1.4. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით და „მომხმარებლის სახლმძღვანელოთი“ განსაზღვრული პირობები.

3.1.5. აცნობოს დამკვეთს „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ ან/და „ადგილობრივი ამანათის პირობებში“ განხორციელებული ყველა ცვლილების შესახებ.
3.1.6 თუ შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო 4.1.3 პუნქტში მითითებულ ვადაში ვერ ხერხდება გზავნილის გადაცემა დაბრუნდეს შესაბამის სერვის ცენტრში.

**3.2. შემსრულებელს უფლება აქვს:**
3.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობითმასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
3.2.2. მოთხოვოს დამკვეთს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
3.2.3. უარი განაცხადოს საფოსტო-საკურიერო მომსახურების გაწევაზე, ან/და საფოსტო გზავნილის მიღებაზე, თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულებაში ან/და „მომხმარებლის სახელმძღვანელოში “ მითითებული პირობები.
3.2.4. ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს მომსახურების გაწევა თუ დამკვეთის მიერ დარღვეულია ანგარიშსწორების ვადა.
3.2.5. ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება დამკვეთისათვის წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღთ ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

**მუხლი 4. დამკვეთის უფლებები და ვალდებულებები**

***4.1 დამკვეთი ვალდებულია:***
4.1.1. საფოსტო გზავნილის მისაღებად დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში შემსრულებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი.
4.1.2. მკაცრად დაიცვას გზავნილების გაფორმების და მომზადების თაობაზე „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ და „ადგილობრივი ამანათის პირობებში“ მითითებული წესები.
4.1.3. არ დაუშვას საფოსტო გზავნილის მისაღებად მასთან მისული შემსრულებლის წარმომადგენლის მოცდენა. ამასთან, მოცდენად ჩაითვლება გარემოება, როდესაც შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად გამოცხადდება მის მისამართზე, ხოლო დამკვეთი შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გადასცემს მას საფოსტო გზავნილს 30 წუთის განმავლობაში.
4.1.4. შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ.
4.1.5. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
4.1.6. აუნაზღაუროს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;
4.1.7. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებით და „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ მითითებული პირობები.
4.1.8. შემსრულებელთან ურთიერთობისას (ელ. პროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად) საკონტაქტო პირია: ვერონიკა ხლინოვსკაია ტელ: 599 41 18 19, ელ. ფოსტა veronika_samt@mail.ru სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

**4.2. დამკვეთს უფლება აქვს:**
4.2.1. ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ მოითხოვოს შემსრულებლისაგან დამატებითი მომსახურების გაწევა.

4.2.2. მოთხოვოს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
4.2.3. მოითხოვოს საფოსტო გზავნილის გაგზავნა წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ქვეყანაში შემსრულებლის პასუხისმგებლობის სრული გამორიცხვის პირობით.
4.2.4 გზავნილების შექმნის და მოძიების ელექტრონულ პროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად ისარგებლოს ბარკოდ წამკითხველი რიდერით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა

5.1 შემსრულებელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებს „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი“ და „ადგილობრივი ამანათის პირობებით“ დადგენილი ოდენობითა და წესით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ქვეყნებში საფოსტო გზავნილის გაგზავნისა, როდესაც შემსრულებელი მატერიალურ პასუხისმგებლობას არ იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება გზავნილის დაკარგვით, შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანებით ან ქურდობით, გზავნილის უკან დაბრუნებით ან ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევით.
5.2. დამკვეთი, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იხდის პირგასამტეხლოს ვადამოსული შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
5.4. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომელიც განსაზღვრულია „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“.
5.5. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.
5.6. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთისათვის დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია, იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, აცნობოს შემსრულებელს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.
5.7. შემსრულებელის მიერ ინფორმაცია დაუძლეველი ძალის დადგომის შესახებ გამოქვეყნდება შემსრულებლის ვებ გვერდზე.
5.8. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.
5.9. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდაათ) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

## 6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეები ადგენენ, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.
6.2 სოფოსტო საკურიერო მომსახურებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაწყდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოში“ და „ადგილობრივი ამანათის პირობებში“ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

## 7. ხელშეკრულების ვადა და მოშლა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 12 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ბოლო ვადაა 2021 წლის 31 დეკემბერი.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
7.3. თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

## 8. მომსახურების სპეციალური პირობები და პროცედურები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთის მიერ საფოსტო გზავნილების შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება დამკვეთის მისამართზე, ამასთან კურიერის ვიზიტი დამკვეთის მისამართზე ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ხორციელდება მხოლოდ ერთხელ, გარდა დამკვეთის მიერ ადგილობრივი ექსპრეს მომსახურებებით - „წერილი 12/12“ და მცირე პაკეტი 12/12“ სარგებლობის შემთხვევებისა.
8.2. ადგილობრივი საფოსტო გზავნილების ადრესატისათვის ჩაბარება, ხორციელდება ადრესატის მისამართზე.
8.3. საერთაშორისო საფოსტო გზავნილების ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად.
8.4. თუ ადრესატი სარგებლობს შემსრულებლის სააბონენტო საფოსტო ყუთით, მასზე დამისამართებული მარტივი კატეგორიის წერილობითი კორესპონდენციის ჩაბარება ხორციელდება მარტივი კატეგორიის წერილობითი კორესპონდენციის ასეთ სააბონენტო საფოსტო ყუთში მოთავსების გზით.

## 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, საფოსტო საკურიერო მომსაუხრების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
9.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

9.4. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „მომხმარებლის სახელმძღვანელოს და „ადგილობრივი ამანათის პირობების“ შესაბამისად.
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.
9.6. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

## მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

„მემსყიდველი“

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 238769025

მის: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი:

ვალერიანე ფოცხვერია

samtredia municipality
Digitally signed by samtredia municipality
Date: 2021.01.12 16:36:56 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს ,,საქართველოს ფოსტა“

ს/ნ 203836233;
მის: 0100 თბილისი, სადგურის მოედანი N2
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბ.კ: BAGAGE22
ანგ. ნომერი: GE13BG0000000123286800

მერი ბასილაშვილი

კომერციული დეპარტამენტის უფროსი

(BT.T2 ერთვიზიტიანი)

კურიერის ვიზიტი ადრესატის მისამართზე ხორციელდება მხოლოდ ერთხელ
(ერთჯერადი ვიზიტი)

# I ნაწილი

## საფოსტო მომსახურების ტარიფები

### 1. ტარიფები ადგილობრივ საფოსტო გზავნილებზე

| *წერილობითი კორესპონდენციის სახეობა* | *კონკრეტული სახე* | *წონა (გრ-ში)* | *ზომა* | *ფასი (ლარებში)* |
|---|---|---|---|---|
| *მარტივი* | *საფოსტო ბარათი* | 20 | | 2.80 |
| | *წერილი* | 0-50 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 5მმ* | 3.10 |
| | | 51-100 | | 3.50 |
| | | 101-250 | | 4.20 |
| | მცირე პაკეტი | 0-250 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 50მმ* | 4.90 |
| | | 251- 500 | | 5.40 |
| | | 501-1000 | | 7.60 |
| | | 1001-2000 | | 8.20 |
| *რეგისტრირებული* | I კლასის წერილი | 0-50 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 5მმ* | 4.80 |
| | | 51-100 | | 5.20 |
| | | 101-250 | | 5.90 |
| | I კლასის მცირე პაკეტი | 0-250 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 50მმ* | 6.60 |
| | | 251- 500 | | 7.20 |
| | | 501-1000 | | 8.70 |
| | | 1001-2000 | | 9.30 |
| | დაზღვეული (ფასგამოცხადებული) წერილი | 0-50 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 5მმ* | შესაბამისი წონისა და ზომის I კლასის წერილის გაგზავნის ფასს + გამოცხადებული ღირ-ის 5% |
| | | 51-100 | | |
| | | 101-250 | | |
| | დაზღვეული | 0-250 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ* | შესაბამისი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | (ფასგამოცხადებული) მცირე პაკეტი | 251- 500 | *მაქსიმალური ზომა - 240X340მმ მაქსიმალური სისქე: 50მმ* | წონისა და ზომის I კლასის მცირე პაკეტის გაგზავნის ფასს + გამოცხადებული ღირ-ის 5% |
| | | 501-1000 | | |
| | | 1001-2000 | | |
| | M ტომარა | 0-5 კგ | *სიმაღლე - 80სმ გარშემოწერილობა -120სმ* | 16.2 |
| | | 5.001 - 15 კგ | | 33.0 |
| | | 15.001 - 30 კგ | | 47.8 |

| *ამანათის სახეობა* | *წონა(კგ)* | *ზომა* | *ფასი (ლარებში)* |
|---|---|---|---|
| **რეგისტრირებული** | 0.001-2 | 1.05მX 1.05მX1.05მ (ან 2მ. სიგრძისა და ყველაზე დიდი გარშემოწერილობის ჯამისათვის,რომელიც უნდა გაიზომოს სიგრძის ნაცვლად სხვა მიმართულებით) | 12.00 |
| | 2.001-3 | | 13.00 |
| | 3.001-4 | | 14.00 |
| | 4.001-5 | | 15.00 |
| | 5.001-6 | | 18.00 |
| | 6.001-7 | | 19.00 |
| | 7.001-8 | | 20.00 |
| | 8.001-9 | | 21.00 |
| | 9.001-10 | | 22.00 |
| | 10.001-11 | | 25.00 |
| | 11.001-12 | | 26.00 |
| | 12.001-13 | | 27.00 |
| | 13.001-14 | | 28.00 |
| | 14.001-15 | | 29.00 |
| | 15.001-16 | | 30.00 |
| | 16.001-17 | | 31.00 |
| | 17.001-18 | | 32.00 |
| | 18.001-19 | | 33.00 |
| | 19.001-20 | | 34.00 |
| **დაზღვეული** (ფასგამოცხადებული) | 0.001-20 | რეგისტრირებული ამანათის იდენტურად | შესაბამისი წონის რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ღირებულებას + გამოცხადებული ღირ-ის 5% |

## 2. ტარიფები საერთაშორისო (გამავალ) საფოსტო გზავნილებზე

| წერილობითი კორესპონდენციის სახეობა | კონკრეტული სახე | წონა (გრ-ში) | ზომა | ფასი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I ზონა | II ზონა | III ზონა |
| მარტივი | საფოსტო ბარათი | 20 | მინიმალური ზომა- 90X140 მმ<br>მაქსიმალური ზომა - 240X340მმ<br>მაქსიმალური სისქე: 5მმ | 4.60 | | |
| | წერილი | 0-50 | | 6.2 | 7.2 | 8.0 |
| | | 51-100 | | 11.3 | 13.4 | 14.8 |
| | | 101-250 | | 26.1 | 31.8 | 35.5 |
| | მცირე პაკეტი | 0-250 | მინიმალური ზომა- 90X140 მმ<br>მაქსიმალური ზომა - 240X340მმ<br>მაქსიმალური სისქე: 50მმ | 27.1 | 33.1 | 36.8 |
| | | 251- 500 | | 38.7 | 47.3 | 52.5 |
| | | 501-1000 | | 50.0 | 61.1 | 68.1 |
| | | 1001-2000 | | 80.1 | 98.1 | 109.3 |
| რეგისტრირებული | I კლასის წერილი | 0-50 | მინიმალური ზომა- 90X140 მმ<br>მაქსიმალური ზომა - 240X340მმ<br>მაქსიმალური სისქე: 5მმ | 15.1 | 17.2 | 18.2 |
| | | 51-100 | | 29.0 | 33.0 | 35.3 |
| | | 101-250 | | 42.2 | 48.2 | 53.3 |
| | I კლასის მცირე პაკეტი | 0-250 | მინიმალური ზომა- 90X140 მმ<br>მაქსიმალური ზომა - 240X340მმ<br>მაქსიმალური სისქე: 50მმ | 43.6 | 50.0 | 55.0 |
| | | 251- 500 | | 61.1 | 68.1 | 75.5 |
| | | 501-1000 | | 72.0 | 88.2 | 97.7 |
| | | 1001-2000 | | 100.6 | 122.9 | 136.3 |
| | დაზღვეული (ფასგამოცხადებული) წერილი | 0-50 | მინიმალური ზომა- 90X140 მმ<br>მაქსიმალური ზომა - 240X340მმ<br>მაქსიმალური სისქე: 5მმ | შესაბამისი წონის, ზომისა და ზონის I კლასის წერილის გაგზავნის ღირებულებას + გამოცხადებული ღირ-ის 5% | | |
| | | 51-100 | | | | |
| | | 101-250 | | | | |
| | დაზღვეული (ფასგამოცხადებული) მცირე პაკეტი | 0-250 | მინიმალური ზომა- 90X140 მმ<br>მაქსიმალური ზომა - 240X340მმ<br>მაქსიმალური სისქე: 50მმ | შესაბამისი წონის, ზომისა და ზონის I კლასის მცირე პაკეტის გაგზავნის ღირებულებას + გამოცხადებული ღირ-ის 5% | | |
| | | 251- 500 | | | | |
| | | 501-1000 | | | | |
| | | 1001-2000 | | | | |
| | M ტომარა | 5 კგ | სიმაღლე - 80სმ<br>გარშემოწერილობა -120სმ | 102 | 119 | 129 |
| | | ყოველ დამატებით კგ-ზე (მაგრამ არაუმეტეს 30კგ-სა) | | 23 | | |

| *ამანათის სახეობა* | *წონა (კგ)* | *ზომა* | *ფასი I ზონა* | *ფასი II ზონა* | *ფასი III ზონა* |
|---|---|---|---|---|---|
| **რეგისტრირებული** | 0.001-1 | 1.05მX 1.05მX1.05მ (ან 2მ. სიგრძისა და ყველაზე დიდი გარშემოწერილობის ჯამისათვის,რომელიც უნდა გაიზომოს სიგრძის ნაცვლად სხვა მიმართულებით) | 89 | 97 | 107 |
| | 1.001-2 | | 115 | 141 | 161 |
| | 2.001-3 | | 143 | 185 | 212 |
| | 3.001-4 | | 170 | 230 | 266 |
| | 4.001-5 | | 198 | 271 | 317 |
| | 5.001-6 | | 225 | 316 | 371 |
| | 6.001-7 | | 251 | 359 | 422 |
| | 7.001-8 | | 279 | 403 | 476 |
| | 8.001-9 | | 305 | 447 | 527 |
| | 9.001-10 | | 331 | 491 | 581 |
| | 10.001-11 | | 361 | 516 | 592 |
| | 11.001-12 | | 387 | 557 | 640 |
| | 12.001-13 | | 413 | 600 | 690 |
| | 13.001-14 | | 441 | 641 | 737 |
| | 14.001-15 | | 467 | 684 | 788 |
| | 15.001-16 | | 495 | 725 | 835 |
| | 16.001-17 | | 522 | 768 | 885 |
| | 17.001-18 | | 548 | 809 | 933 |
| | 18.001-19 | | 576 | 852 | 981 |
| | 19.001-20 | | 602 | 893 | 1031 |
| **დაზღვეული** (ფასგამოცხადებული) | 0.001 -20 | რეგისტრირებული ამანათის იდენტურად | შესაბამისი წონის რეგისტრირებული ამანათის გაგზავნის ღირებულებას + გამოცხადებული ღირ-ის 5% | | |

<u>**შენიშვნა:**</u>

- ურღვევი წერილობითი კორესპონდენციის ფასი, რომლის წონაც აღემატება 2კგ-ს (მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 5კგ-ს), შეადგენს ყოველ დამატებით სრულ/არასრულ 100გრ-ზე - 0,5 ლარს.

- ფასგამოცხადების მაქსიმალური ზღვარია 10 000 ლარი.

## 3. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების დამატებითი სერვისების ტარიფები

| დამატებითი სერვისის სახე | გზავნილის სახეობა, რომელზეც ხორციელდება მომსახურება | ფასი |
|---|---|---|
| პირადად ადრესატისთვის ჩაბარება | ადგილობრივი I კლასის წერილი და მცირე პაკეტი, აგრეთვე M ტომარა და ამანათი | გზავნილის გაგზავნის ღირებულებას + ამ ღირებულების 30% |
| ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ (ცნობა) | ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი, აგრეთვე საერთაშორისო (შემომავალი) საფოსტო გზავნილები, რომელთა რეგისტრაციაც ხორციელდება საფოსტო პროგრამაში | 7.5 ლარი - 15 დღიან პერიოდზე ან 5 გზავნილზე (დოკუმენტი ბარდება ადრესატის მისამართზე) |
| გზავნილი- ჩაბარების დასტურით | ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია | გზავნილის გაგზავნის ღირებულებას +ამ ღირებულების 80% , მაგრამ არაუმეტეს 5 ლარისა |
| | ადგილობრივი ამანათი | 5 ლარი |
| გადამისამართება | ადგილობრივი რეგისტრირებული წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი | ადრესატის მისამართის ცვლილება - 3 ლარი |
| | | ადრესატის ვინაობის (სახელის/გვარის ან სახელწოდების) ცვლილება - 1 ლარი |
| | | არასტანდარტული გადამისამართება - 4 ლარი |
| საბაჟო დეკლარაციის მომზადება | საერთაშორისო გზავნილი, რომელზეც მოთხოვნილია ექსპორტის/იმპორტის დეკლარირება | 20 ლარი |
| ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა | საერთაშორისო (გამავალი) წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი | გადახდილი გაგზავნის ღირებულება ბრუნდება უკან, შესაბამისი წონისა და ზომის ადგილობრივი გზავნილის გაგზავნის ღირებულების ორმაგი ოდენობის გამოკლებით |
| გზავნილის არქივიდან გამოთხოვა | ადგილობრივი და საერთაშორისო წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი | 2 ლარი |

# II ნაწილი

## ექსპრეს მომსახურების ტარიფები

### 4. ადგილობრივი ექსპრეს მომსახურების ტარიფები

| წერილობითი კორესპონდენციის სახეობა | *წონა (გრ-ში)* | *ზომა* | ფასი |
|---|---|---|---|
| **წერილი 12/12** | 0-50 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 5მმ* | 9.70 |
| | 51-100 | | 13.80 |
| | 101-250 | | 15.90 |
| **მცირე პაკეტი 12/12** | 0-250 | *მინიმალური ზომა- 90X140 მმ*<br>*მაქსიმალური ზომა - 240X340მმ*<br>*მაქსიმალური სისქე: 50მმ* | 20.00 |
| | 251- 500 | | 28.30 |
| | 501-1000 | | 36.60 |
| | 1001-2000 | | 42.80 |

## 5. საერთაშორისო EMS გზავნილის გაგზავნის ტარიფები

| *EMS გზავნილის სახეობა* | *წონა (კგ)* | *ზომა* | *ფასი I ზონა* | *ფასი II ზონა* | *ფასი III ზონა* |
|---|---|---|---|---|---|
| *დოკუმენტი* | 0.5 | 1.05მX 1.05მX1.05მ (ან 2მ. სიგრძისა და ყველაზე დიდი გარშემოწერილობის ჯამისათვის,რომელიც უნდა გაიზომოს სიგრძის ნაცვლად სხვა მიმართულებით) | 109 | 115 | 134 |
| | 0.501-1 | | 139 | 141 | 155 |
| | 1.001-1.5 | | 155 | 169 | 184 |
| | 1.501-2 | | 170 | 196 | 213 |
| *საქონელი* | 1 | | 148 | 150 | 163 |
| | 1.01- 1.5 | | 160 | 171 | 185 |
| | 1.501- 2 | | 178 | 198 | 215 |
| | 2.001- 2.5 | | 196 | 225 | 244 |
| | 2.501- 3 | | 214 | 251 | 274 |
| | 3.001- 3.5 | | 231 | 279 | 303 |
| | 3.501- 4 | | 250 | 305 | 333 |
| | 4.001- 4.5 | | 268 | 333 | 361 |
| | 4.501- 5 | | 285 | 359 | 391 |
| | 5.001 - 5.5 | | 304 | 385 | 420 |
| | 5.501 - 6 | | 321 | 413 | 449 |
| | 6.001 - 6.5 | | 339 | 439 | 479 |
| | 6.501 - 7 | | 358 | 466 | 508 |
| | 7.001 - 7.5 | | 375 | 493 | 538 |
| | 7.501 - 8 | | 393 | 520 | 566 |
| | 8.001 - 8.5 | | 410 | 546 | 596 |
| | 8.501 - 9 | | 429 | 574 | 625 |
| | 9.001 - 9.5 | | 446 | 600 | 654 |
| | 9.501 - 10 | | 464 | 628 | 684 |
| | 10.001 - 10.5 | | 483 | 654 | 713 |
| | 10.501 - 11 | | 500 | 681 | 743 |
| | 11.001 - 11.5 | | 518 | 708 | 771 |
| | 11.501 - 12 | | 536 | 735 | 801 |
| | 12.001 -12.5 | | 554 | 761 | 830 |
| | 12.501 - 13 | | 571 | 789 | 859 |
| | 13.001 - 13.5 | | 590 | 815 | 889 |
| | 13.501 - 14 | | 608 | 843 | 918 |
| | 14.001 - 14.5 | | 625 | 869 | 948 |
| | 14.501 -15 | | 644 | 895 | 976 |
| | 15.001 - 15.5 | | 661 | 923 | 1006 |
| | 15.501 - 16 | | 679 | 949 | 1035 |
| | 16.001 - 16.5 | | 698 | 976 | 1064 |
| | 16.501 - 17 | | 715 | 1003 | 1094 |
| | 17.001 - 17.5 | | 733 | 1030 | 1123 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 17.501 - 18 | | 750 | 1056 | 1153 |
| | 18.001 - 18.5 | | 769 | 1084 | 1181 |
| | 18.501 - 19 | | 786 | 1110 | 1211 |
| | 19.001 - 19.5 | | 804 | 1138 | 1240 |
| | 19.501 - 20 | | 823 | 1164 | 1269 |

## 6. საერთაშორისო AVIA გზავნილის გაგზავნის ტარიფები

ტარიფები მოცემულია აშშ დოლარში

| *წონა (კგ)* | *ზომა* | *ფასი I ზონა* | *ფასი II ზონა* | *ფასი III ზონა* | *ფასი IV ზონა* | *ფასი V ზონა* | *ფასი VI ზონა* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0.5 | სიგრძე x სიგანე x სიმაღლე: 500< 30კგ-ზე | 42 | 49 | 56 | 58 | 65 | 71 |
| 0.501-1 | | 47 | 55 | 63 | 67 | 76 | 87 |
| 1.02- 1.5 | | 53 | 60 | 71 | 77 | 89 | 101 |
| 1.501- 2 | | 58 | 71 | 85 | 91 | 100 | 117 |
| 2.001- 2.5 | | 64 | 81 | 96 | 102 | 112 | 132 |
| 2.501- 3 | | 69 | 90 | 107 | 113 | 124 | 147 |
| 3.001- 3.5 | | 74 | 100 | 118 | 124 | 136 | 162 |
| 3.501- 4 | | 79 | 110 | 130 | 135 | 148 | 178 |
| 4.001- 4.5 | | 84 | 120 | 141 | 146 | 159 | 192 |
| 4.501 - 5 | | 89 | 130 | 153 | 158 | 171 | 208 |
| ყოველ დამატებით 0,5კგ-ზე, მაგრამ არაუმეტეს 20კგ-სა | | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 12 |

- **რისკის შემცველ ქვეყნებში გზავნილის გაგზავნის ღირებულებას ემატება ტარიფი, შემდეგი ოდენობით:**

| | |
|---|---|
| იემენი | 20 აშშ დოლარი |

თუ AVIA გზავნილის შიგთავსი საქონელია, ცალკეულ ქვეყნებზე გაგზავნის ღირებულებას ემატება ტარიფი შემდეგი ოდენობით:

ტარიფები მოცემულია **აშშ დოლარში**

| ზონა 1 | დამატებითი გადასახადი | საბაჟო გადასახადი | ომის რისკები |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 13 | | |
| აზერბაიჯანი | 10 | | |
| ზონა 2 | | | |
| სირია | | | 20 |
| იემენი | 20 | | |
| ზონა 3 | | | |
| ანდორა | 50 | | |
| ესპანეთი ( სეუტა & მელილია) | 35 | | |
| ყირგიზეთი | 15 | | |
| ხორვატია | 20 | | |
| ზონა 4 | | | |
| მიანმარი | 15 | | |
| კანარის კუნძულები | 35 | | |
| გიბლარტარი | 15 | | |
| მადაგასკარი | 20 | | |
| რეიუნიონის კუნძულები | 20 | | |
| სეიშელი | 20 | | |
| ზონა 5 | | | |
| პალესტინა | | | 25 |
| ფიჯი | 25 | | |
| მაკედონია | 15 | | |
| პაპუა ახალი გვინეა | 25 | | |
| კომორის კუნძულები | 20 | | |
| მაიოტა | 20 | | |
| ზონა 6 | | | |
| აღმოსავლეთ ტიმორი | 25 | | |
| ამერიკული სამოა | 25 | | |
| შობის კუნძული | 25 | | |
| ქოქოსის კუნძულები | 25 | | |
| კუკის კუნძულები | 25 | | |
| საფრანგეთის პოლინეზია | 25 | | |
| პიტკერნის კუნძული | 25 | | |
| სამოა | 25 | | |
| სოლომონის კუნძული | 25 | | |
| ტონგა | 25 | | |
| ტუვალუ | 25 | | |
| ვანუატუ | 25 | | |
| უოლისი და ფუტუნა | 25 | | |
| ნორფოლკის კუნძული | 25 | | |
| კამერუნი | 40 | | |
| ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა | 40 | | |
| ჩადი | 40 | | |
| გვინეა | 40 | | |
| კოტდივუარი | 40 | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მალი** | **40** | | |

## 1. ექსპრეს მომსახურების დამატებითი სერვისების ტარიფები

| **დამატებითი სერვისის სახე** | **გზავნილის სახეობა, რომელზეც ხორციელდება მომსახურება** | **ფასი** |
|---|---|---|
| პირადად ადრესატისთვის ჩაბარება | ადგილობრივი ექსპრეს გზავნილი | გზავნილის გაგზავნის ღირებულებას + ამ ღირებულების 30% |
| გზავნილი- ჩაბარების დასტურით | ადგილობრივი ექსპრეს გზავნილი | გზავნილის გაგზავნის ღირებულებას +ამ ღირებულების 80% , მაგრამ არაუმეტეს 5 ლარისა |
| ინფორმაციის გაცემა საფოსტო მომსახურების განხორციელების ფაქტის დადასტურების შესახებ (ცნობა) | ადგილობრივი ექსპრეს და საერთაშორისო (შემომავალი)EMS გზავნილი | 7.5 ლარი - 15 დღიან პერიოდზე ან 5 გზავნილზე (დოკუმენტი ბარდება ადრესატის მისამართზე) |
| საბაჟო დეკლარაციის მომზადება | საერთაშორისო EMS და AVIA გზავნილი, რომელზეც მოთხოვნილია ექსპორტის/იმპორტის დეკლარირება | 20 ლარი |
| ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა | საერთაშორისო (გამავალი)EMS და AVIA გზავნილები | გადახდილი გაგზავნის ღირებულება ბრუნდება უკან, შესაბამისი წონის, ზომის და სახეობის ადგილობრივი გზავნილის გაგზავნის ღირებულების ორმაგი ოდენობის გამოკლებით |
| დაზღვევა | ადგილობრივი ექსპრეს, საერთაშორისო (გამავალი) EMS და AVIA გზავნილები | გზავნილის გაგზავნის ღირებულებას + გამოცხადებული ღირ-ის 5% |
| გზავნილის არქივიდან გამოთხოვა | ადგილობრივი ექსპრეს, საერთაშორისო (გამავალი) EMS და AVIA გზავნილები | 2 ლარი |

# სახელმწიფოების ჩამონათვალი, სადაც ხორციელდება „საქართველოს ფოსტის“ მიერ გზავნილების გაგზავნა

## 1. ქვეყნები (ზონების მიხედვით) სადაც ხორციელდება საერთაშორისო საფოსტო გზავნილების გაგზავნა

### ქვეყნები საერთაშორისო მარტივი წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნისთვის

| I ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალბანეთი / Albania | 19 | ისლანდია/ Iceland | 37 | პორტუგალია /Portugal |
| 2 | სომხეთი / Armenia | 20 | ირლანდია /Ireland | 38 | რუმინეთი /Romania |
| 3 | ავსტრია / Austria | 21 | ისრაელი /Israel | 39 | რუსეთი /Russia |
| 4 | აზერბაიჯანი / Azerbaijan | 22 | იტალია /Italy | 40 | სან მარინო /San Marino |
| 5 | ბელორუსი /Belarus | 23 | ყაზახეთი /Kazakhstan | 41 | სერბეთი /Serbia |
| 6 | ბელგია /Belgium | 24 | ყირგიზეთი /Kyrgyzstan | 42 | სლოვაკეთი /Slovakia |
| 7 | ბოსნია და ჰერცოგოვინა /Bosnia and Herzegovina | 25 | ლატვია /Latvia | 43 | სლოვენია /Slovenia |
| 8 | ბულგარეთი /Bulgaria | 26 | ლიხტენშტაინი /Liechtenstein | 44 | ესპანეთი /Spain |
| 9 | ხორვატია /Croatia | 27 | ლიტვა /Lithuania | 45 | შვედეთი /Sweden |
| 10 | კვიპროსი /Cyprus | 28 | ლუქსემბურგი /Luxembourg | 46 | შვეიცარია /Switzerland |
